საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება - საქართველოს
სასაზღვრო პოლიცია

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY - BORDER POLICE OF GEORGIA

MIA 4 23 00453499

16/02/2023

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
მომსახურების მხარდაჭერის დეპარტამენტის
კერძო სექტორთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსს,
ქალბატონ **ლია ხუციშვილს**

ქალბატონო ლია,

2023 წლის 6 თებერვლის №5/6523 წერილის პასუხად, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარე 40 ერთეული მიწის ნაკვეთის სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსათვის" უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით 49 წლის ვადით გადაცემის საკითხს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები მდებარეობს საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო (ადმინისტრაციული) საზღვრის მიმდებარედ, კერძოდ:

- №83.12.17.067 საკადასტრო კოდით მიწის ნაკვეთი (ფართობი - 170 კვ.მ.) მდებარეობს 5 კილომეტრიან სასაზღვრო ზონაში, ხოლო სახელმწიფო საზღვრის უახლოესი ხაზიდან დაშორებულია დაახლოებით 690 მეტრით;
- №83.12.17.066 საკადასტრო კოდით მიწის ნაკვეთი (ფართობი - 144 კვ.მ.) მდებარეობს 500 მეტრიან სასაზღვრო ზოლში, ხოლო სახელმწიფო საზღვრის უახლოესი ხაზიდან დაშორებულია დაახლოებით 122 მეტრით;
- №83.12.17.069 საკადასტრო კოდით მიწის ნაკვეთი (ფართობი - 382 კვ.მ.) ნაწილობრივ მდებარეობს 500 მეტრიან სასაზღვრო ზოლში და ფართობის დაახლოებით 173 კვ.მ. გადადის სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასაზღვრო ზონაში სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დროს დაცული უნდა იყოს ამ კანონის 26-ე და 27-ე მუხლების მოთხოვნები. პირმა, რომელიც აპირებს ასეთი საქმიანობის განხორციელებას, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხასიათი, ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებები,

0160, ქ.თბილისი, სიმონ კანდელაკის ქ. № 12
ტელ/ფაქსი: (+995 032) 2 37 02 62; (+995 032) 2 38 13 96
ელ.ფოსტა: bpol@mia.gov.ge

12, S. Kandelaki str. Tbilisi 0160, Georgia
Tel/Fax: (+995 32)2370262; (+995 32)2381396
e-mail: bpol@mia.gov.ge

აგრეთვე სამუშაოთა წარმოების ადგილი, დრო და ხანგრძლივობა, მონაწილეთა რაოდენობა და პასუხისმგებელი პირის ვინაობა.

ამავე კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი“ ადგენს სასაზღვრო რეჟიმს სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში. სასაზღვრო რეჟიმი ამ კანონის შესაბამისად აზუსტებს სამუშაოთა წარმოების, პირთა შესვლის, დროებით ყოფნისა და გადაადგილების, აგრეთვე ნავმისადგომებში, პორტებსა და ბაზირების სხვა პუნქტებში, საქართველოს შიდა წყლებში არასამხედრო და სამხედრო გემების აღრიცხვის, ყოფნისა და ცურვის წესებს.

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში პირისა და ტრანსპორტის შესვლა, დროებით ყოფნა და გადაადგილება ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დადგენილი ფორმის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ტრანსპორტზე სათანადო დოკუმენტების წარდგენისას. სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში პირისა და ტრანსპორტის შესვლის ადგილი და დრო, დროებით ყოფნის სხვა პირობები და გადაადგილების მარშრუტი განისაზღვრება „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, ამ კანონის 33-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების დასკვნის საფუძველზე აუკრძალოს პირს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, თუ მან შეტყობინებაში მიუთითა არასწორი მონაცემები და სამუშაოთა წარმოება ზიანს აყენებს გარემოს ან ადამიანთა ჯანმრთელობას.

რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის (შემდგომ - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია) პოზიციას, გაცნობებთ, რომ №83.12.17.066 და №83.12.17.067 საკადასტრო კოდებით მიწის ნაკვეთების სს „გაერთიანებული ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსათვის“ უსასყიდლოდ, უზუფრუქტის უფლებით, 49 წლით სარგებლობაში გადაცემა ხელს არ შეუშლის საქართველოს სასაზღვრო პოლიციას სახელმწიფო საზღვრის ფიზიკურ და ტექნიკურ დაცვაში.

ამასთან, საქართველოს სასაზღვრო პოლიცია მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს №83.12.17.069 საკადასტრო კოდით მიწის ნაკვეთის უზუფრუქტით სარგებლობაში გადაცემაზე, ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთის ნაწილი (დაახლოებით 173 კვ.მ.) გადადის სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საქართველოს სასაზღვრო პოლიციას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოხდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმირება აღნიშნული ხარვეზის შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ვინაიდან წერილში მითითებული ტერიტორია ხვდება 500 მეტრიან სასაზღვრო ზოლში, გასათვალისწინებელია „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სასაზღვრო ზოლის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, „სასაზღვრო ზოლში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის

დაკავშირებული მის მოვლასთან, სასაზღვრო ნიშნების შემოწმებასთან და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული. ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს, სასაზღვრო ზოლში დაუშვას გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობა.”

პატივისცემით,

სსდ-საქართველოს სასაზღვრო პოლიციის
უფროსის მოადგილე **გიორგი მალანია**

KA021788612626623

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

ქ. რუსთავი, ვახუშტის ქ.8

Tel: 1420
info@nasp.gov.ge

N10/19126

06 / აპრილი / 2023 წ.

სს საქართველოს გაერთიანებულ ელექტროსისტემას

თქვენი 28.03.2023 წლის N05/181 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონულმა სამსახურმა განახორციელა მარნეულიში მდებარე ს.კ. 83.12.17.069 რეგისტრირებული უძრავი ქონების ცვლილების რეგისტრაცია.

წარმოგიდგენთ ამონაწერს საჯარო რეესტრდიან.

ქვემო ქართლის რეგიონული სამსახურის
უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მანანა მსხილაძე

KA021774523573723

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel:1420
info@nasp.gov.ge

N5/12448 06 / მარტი / 2023 წ.

სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი თქვენი 26.01.2023 წლის N16/68 (26.01.2023 წ. N9389/04) წერილის პასუხად, რომელიც ეხება, მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარე წარმოდგენილი წერილის დანართით გათვალისწინებული 40 ერთეული მიწის ნაკვეთის სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით 49 წლის ვადით გადაცემის საკითხს გიგზავნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 16.02.2023 წლის NMIA 4 23 00453499 და სს - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის 01.02.2023 წლის N562/05 წერილებს. ამასთან გაცნობებთ, რომ N83.11.12.381 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგნტოში კერძო პირის დაინტერესებით მიმდინარეობს N882021107329 სარეგისტრაციო წარმოება.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, გთხოვთ, მოგვაწოდოთ დაზუსტებული წინადადებები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 16.02.2023 წლის NMIA 4 23 00453499 და სს - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის 01.02.2023 წლის N562/05 წერილებში მითითებული ინფორმაციის/პირობების გათვალისწინებით.

დანართი: 3 ფაილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

კერძო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ნანა ბორცვაძე

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება - საქართველოს
სასაზღვრო პოლიცია

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY - BORDER POLICE OF GEORGIA

MIA 5 23 00815092

22/03/2023

სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო"-ს
გენერალურ დირექტორს,
ბატონ **ბაჩანა სულაძეს**

ბატონო ბაჩანა,

2023 წლის 21 მარტის №05/169 წერილის პასუხად, რომელიც ეხება წარმოდგენილი განაშენიანების ფართობის შესაბამისობის დადგენას საქართველოს სახელმწიფო საზღვართან მიმართებაში, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ წერილში მითითებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №83.12.17.069; ფართობი 382 კვ.მ.; კოორდინატები: X491940.37; Y4568496.38) მდებარეობს საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო (ადმინისტრაციული) საზღვრის მიმდებარედ, 500 მეტრიან სასაზღვრო ზოლში და უახლოესი დაშორება სახელმწიფო (ადმინისტრაციული) ხაზიდან არის დაახლოებით 17 მეტრი, ხოლო უახლოესი დაშორება შეთანხმებული სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან არის დაახლოებით 7 მეტრი.

პატივისცემით,

სსდ-საქართველოს სასაზღვრო პოლიციის
უფროსის მოადგილე **გიორგი მალანია**

0160, ქ.თბილისი, სიმონ კანდელაკის ქ. № 12
ტელ/ფაქსი: (+995 032) 2 37 02 62; (+995 032) 2 38 13 96
ელ.ფოსტა: bpol@mia.gov.ge

12, S. Kandelaki str. Tbilisi 0160, Georgia
Tel/Fax: (+995 32)2370262; (+995 32)2381396
e-mail: bpol@mia.gov.ge

საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 99 2023 წლის 31 მაისი ქ. თბილისი

სასაზღვრო ზოლში ზოგიერთი სამეურნეო საქმიანობის დაშვების შესახებ

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში მდებარე №83.12.17.066 და №83.12.17.069 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე დაშვებულ იქნეს გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობა, კერძოდ, ელექტროგადამცემი ხაზის ანძების განთავსება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990183787468823

№17/1460 **22 / მაისი / 2023 წ.**

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა
„საქრუსენეგრგოს“ გენერალურ დირექტორს,
ბატონ ბაჩანა სულაძეს

ბატონო ბაჩანა,

სააგენტომ განიხილა თქვენი 18.05.2023 წლის N05/264 წერილი, რომელიც ეხება 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ პროექტის ფარგლებში, მარნეული-აირუმის დამაკავშირებელი 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო საყრდენებიდან N119 საყრდენის ადგილმონაცვლეობას (თავდაპირველი მდებარეობით საყრდენი ხვდებოდა საქართველო-სომხეთის საზღვარზე) საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში 65 მ-ით, X491940.37 Y4568496.38 კოორდინატებზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააგენტოს პოზიცია გეცნობათ 27.03.2023 წლის № 17/837 წერილით, რომლის მიხედვითაც სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ იყო წინააღმდეგი პროექტში შეტანილი ცვლილების განხორციელებისა და სამუშაოების გაგრძელებისა.

აქვე გაცნობებთ, რომ ვინაიდან N119 საყრდენის ტერიტორია არ ექცევა რომელიმე ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში და ასევე აღნიშნულ ტერიტორიაზე ზედაპირულად არ ფიქსირდება არქეოლოგიური ობიექტი, სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია სამუშაოების გაგრძელება არქეოლოგიური კვლევა-ძიების გარეშე.

თუმცა, თუ მიწის სამუშაოების პროცესში გამოვლინდა არქეოლოგიური ობიექტი, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, საქმიანობის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული საქმიანობა და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის ან აღმოჩენის ან ამის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არა უგვიანეს 7 დღისა.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი

შ.პ.ს. „მ ა გ მ ა“ “M A G M A” ltd

404965572, ქ.თბილისი, ვაჟაფშაველას 3 კვ. 4 კორპ. ბინა 22, ტელ : 593 248547. E-mail: Magma_7@mail.com
404965572, VajaPhshavela str. 3 kv. 4 bl. Georgia, tel: 593 248547. E-mail: Magma_7@mail.com

სს გეს „საქრუსენერგოს“ გენერალურ
დირექტორს ბ-ნ ბაჩანა სულაძეს

ბატონო ბაჩანა,

ჩვენს შორის 2023 წლის 28 მარტს გაფორმებული N07/121 ხელშეკრულების საფუძველზე წარმოგიდგენთ 500კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ (500კვ ეგხ „მუხრანის“ N42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) N119-ე საყრდენის ლოკაციის ცვლილების გამო პროექტში შეტანილი ცვლილების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) სკრინინგის ანგარიშს.

დანართი:

- 500კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ (500კვ ეგხ „მუხრანის“ N42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) N119-ე საყრდენის ლოკაციის ცვლილების გამო პროექტში შეტანილი ცვლილების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) სკრინინგის ანგარიში - 2 ეგზემპლარი (მატერიალური სახით);
- 500კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ (500კვ ეგხ „მუხრანის“ N42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) N119-ე საყრდენის ლოკაციის ცვლილების გამო პროექტში შეტანილი ცვლილების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,
ნუგზარ ცირეკიძე
შპს „მაგმას“ დირექტორი